

“სოფლის მეურნეობის მინისტრი ნიანგებზე არ უნდა საუბრობდეს!”

გაზეთი “ახალი თაობა” – 23 თებერვალი, № 45, 2001.

ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ლადო პაპავა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას სოფლის მეურნეობას დამატებით 150 მლნ გამოეყოს, მიესალმება, თუმცა მიაჩნია, რომ ამ თანხის ეფექტიანად ათვისებისთვის აუცილებელია სოფლის მეურნეობას პროფესონალები ხელმძღვანელობდნენ.

ამასთან, ექსპერტი პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის დროს გაულ რეზული დადებითი ინიციატივების ფონზე, სერიოზულ შეცდომად მიიჩნევს გარემოს დაცვის სამინისტროს გაუქმებას და მისი ფუნქციების სხვადასხვა უწყებაზე გადანაწილებას. ბურების საქართველოში ჩამოსვლას კი ლადო პაპავა, საერთოდ გაუგებრობას უწოდებს, რომ აღარაფერი ვთქვათ, საქართველოს მოსახლეობის პრობლემებისა და ინტერესების იგნორირებაზე.

არის თუ არა გამოსავალი სოფლის მეურნეობის მინისტრის შეცვლა, რამდენად სწორად გათვალა პრეზიდენტმა პრიორიტეტული დარგები და რატომ გახდა ბაკურ კვეხერელი მთავრობაში აქილევსის ქუსლი? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ ლადო პაპავასთან.

– ბატონო ლადო, გამოიკვეთა, რომ მთავრობამ და პრეზიდენტმა შეცდომები აღიარეს და ორიენტირები შეცვალეს იგივე ეკონომიკის კუთხით.

რეზიდენტმა სოფლის მეურნეობას მიაქცია ყურადღება და ამ სფეროსთვის ბიუჯეტში 150 მლნ-იც გამოყო. რატომ გადახედა ხელისუფლებამ პრიორიტეტებს?

– თუ თქვენ გულისხმობთ პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლას, აქ მართლაც რამდენიმე სასიკეთო მომენტი გამოიკვეთა, რომელიც ადრე მას არ ჰქონდა. თუ დაუშვათ, 25 იანვარს სააკაშვილი იმაზე ლაპარაკობდა, რომ საქართველოს მთავრობას არანაირი ინსტრუმენტი არ გააჩნია, რომ საერთაშორისო დონეზე წარმოქმნილ ინფლაციურ პროცესებს გაუმკლავდეს, როცა ის 11 თებერვალს პარლამენტში მივიდა, თქვა, რომ მთავრობის ხელთ არის

გარკვეული ინსტრუმენტები, ანუ მანამდე 25 იანვარს პირობითად ასე შეიძლება შევაფასოთ მისი დამოკიდებულება ინფლაციასთან დაკავშირებით – ის უფრო კაპიტულანტური ხასიათის იყო, მაშინ, როდესაც 11 თებერვალს უფრო მეტძობლი სახით წარმოდგა. რა თქმა უნდა, 11 თებერვლის პოზიცია ბევრად უფრო მისაღებია იმიტომ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელობის ხელთ მართლაც რომ არ იყოს არანაირი ინსტრუმენტი, მაინც არ არის გამართლებული პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ის იძახდეს, რომ უძღურები ვართ, უსუსურები ვართ. პარლამენტში გამოსვლისას სააკაშვილმა მკაფიოდ თქვა, რომ ქვეყანას აქვს გარკვეული რესურსი და ინსტრუმენტები, რომ ინფლაციური წნეხი შეამსუბუქოს. ამ თვალსაზრისით აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია. ასევე პრეზიდენტი ადრე საუბრობდა სამ პრიორიტეტულ მიმართულებაზე, კერძოდ, ინფრასტრუქტურის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. 11 თებერვალს კი ამ სამს მეოთხე – ენერგეტიკა დაუმატა, რაც ასევე მისასაღმებელია, იმიტომ, რომ ენერგეტიკის განვითარების გარეშე ეკონომიკა საერთოდ ფეხზე ვერ დადგება. ასეთი პოზიტიური ცვლილებები აშკარად გამოიკვეთა. პრეზიდენტმა სცადა ეხვეწებინა, რომ მან უფრო კომპლექსურად დაინახა თუ რა პრობლემებია. იმავდროულად, ძალიან საინტერესო მოსაზრებები თქვა, როცა განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობაში უნდა შეიქმნას სპეციალური ლოჯისტიკური ცენტრები. აბსოლუტურად სწორია და კარგი იქნება, ასეთი რამ თუ შეიქმნება. აქ ცუდი იქნება, თუ მონოპოლიებს ვერ ავიცილებთ თავიდან, თუ ჩამოყალიბდება ერთი ან ორი სტრუქტურა, რომელიც გააკონტროლებს ამ ლოჯისტიკურ სასოფლო-სამეურნეო ცენტრებს. მაგრამ თუ აქ იქნება კონკურენცია და ეს მხოლოდ ბიზნესის სახეობაა, მაშინ ამაში ცუდი არაფერია. ასევე დადებითია ის, რომ პრეზიდენტის თქმით, სოფლის მეურნეობისთვის დამატებით გამოიყოფა 150 მლნ ლარი. ეს ძალიან სერიოზული წინადადებაა, თუმცა ამ 150 მლნ-ზე კონკრეტული საუბარი გაჭირდება მანამ, სანამ კონკრეტულად არ გაიწერება, თუ რაში და როგორ უნდა იქნეს ეს თანხა გამოყენებული. აქ მივდივართ კიდევ ერთ პრობლემასთან, რომელსაც ჰქვია ქვეყანაში პროგრამები – ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამა და ცალკეული დარგების განვითარების პროგრამები. რა თქმა უნდა, კარგია თუ ქვეყანას ასეთი პროგრამები ექნება, და ექნება სოფლის მეურნეობასაც! სწორედ სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ქვეშ უნდა გაიწეროს, თუ

როგორ უნდა იქნეს 150 მლნ დამატებითი თანხის გამოყენება და მთლიანად როგორი ხედვა აქვს მთავრობას სოფლის მეურნეობის განვითარების შესახებ.

- იკვეთება, რომ მთავრობა მართლა არის დაინტერესებული სოფლის მეურნეობის აღორძინებით? ფაქტია, 7 წლის მანძილზე ამ სფეროში მხოლოდ უკუსვლაა.

- 7 წელს რომ თავი დავანებოთ, სამწუხაროდ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს სოფლის მეურნეობის მინისტრი. ვფიქრობ, კვეზერელი საქართველოს მთავრობაში აქილევსის ქუსლია. არავის მოუსმენია მისი მხრიდან ჩამოყალიბებული კონსტრუქციული ხედვა დარგის განვითარების შესახებ. უკვე გაშარებულიც არის და ხალხს ეცინება ბაყაყების თათების ექსპორტზე, ნიანგების ფერმაზე სამეგრელოში. აბსოლუტურად გაუგებარია ბურების ჩამოსახლების თემა. გეგონება, ჩვენ თვითონ პრობლემა არ გვქონდეს ქართველი მოსახლეობის დასახლების, მათ შორის სოფლად. სხვა თუ არაფერი, გაზეთის მკითხველს შევახსენებ, კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივას, სპეციალური სოფლები შექმნილიყო, სადაც იქნება ახალგაზრდა ოჯახები დასახლებული და დასაქმებული; მათთვის ინდა გამოიყოს მიწები, რომ ხალხმა შეძლოს სულ ცოტა თვითკმარი მეურნეობის შექმნა და ნამეტი პროდუქცია კი გასაყიდად გაიტანონ. ბუნებრივია, საზოგადოებაში ჩვენ გვყავს ასეთი გაჭირვებული ოჯახები, რომლებსაც თუ დავეხმარებით, ფეხზე დადგებიან და თავის თავსაც მიხედავენ და ნამატ პროდუქციასაც გაყიდიან. ამ კონტექსტში ბურების ადგილი აბსოლუტურად გაუგებარია. ამიტომ ვიძახი, რომ თავისთავად პრეზიდენტის ინიციატივა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებით, ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ არის. მაგრამ, სამწუხაროდ, მე სერიოზული ეჭვი შემაქვს იმაში, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, დღევანდელი მისი ხელმძღვანელის პირობებში რაიმე სასიკეთო ხედვას წარმოადგენს.

- ანუ პრეზიდენტმა ამ 150 მლნ-ს მინისტრ კვეზერელის გათავისუფლება უნდა მოაყოლოს?

- ასე მარტივი არ არის მინისტრის შეცვლა და დარგის აღორძინება. კარგად გამოგეთ, მე პიროვნულად კვეზერელის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ერთი კვეზერელს თუ მეორე ცაანაცვლებს, ამით სოფლის მეურნეობაში არაფერი შეიცვლება. მთავარია, სამინისტროს ხელმძღვანელობაში ამ დარგის სპეციალისტები იყვნენ, რომელთაც ექნებათ გარკვეული ხედვა ამ დარგის

განვითარების. თუ კვეზერელისნაირი უნდა მოვიდეს მეორეც, ასეთ საკადრო ცვლილებას რა მნიშვნელობა აქვს?! მას ისევ ჯობია, ვინც არის მინისტრი, ისევ ის დარჩეს. თანაც ერთი რამეც გაითვალისწინეთ, რაც უფრო მწარედ გავაკრიტიკებთ კვეზერელს, მით უფრო დიდი შანსი აქვთ მათ ხელისუფლებაში დარჩენისა – აბა ჩვენ ათქვამზე ხომ არ მოხსიან?

– როგორ ფიქრობთ, შეგნებულად ხდებოდა სოფლის მეურნეობის ჩაკვლა?

– არა. ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი. მოდით ობიექტურები ვიყოთ: სოფლის მეურნეობას ძალიან სერიოზული დარტყმა ჯერ ჯიდევ 2006 წელს მიაყენა რუსეთმა, როდესაც ქართულ პროდუქციას რუსული ბაზარი ჩაუკეტა. ეს ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ. მაშინ მინისტრი კვეზერელი არ იყო. ყველაფერს კვეზერელზე ნუ ავაგებთ და ნურც იმას ვიტყვით, რომ აქ ხელისუფლების პრობლემაა. ჩვენ რუსეთთან გართულებული ურთიერთობა ჯერ კიდევ იქედან გვაქვს, სანამ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა. ეს პრობლემები ხან გამწვავდება, ხან შესუსტდება. რუსული ბაზრის ჩაკეტვამ ქართული პროდუქციისთვის, რა თქმა უნდა, სერიოზული დარტყმა მიაყენა სოფლის მეურნეობას. მთავრობამ საკმაოდ სერიოზული ძალისხმევა გამოიჩინა იმისათვის, რომ ქართული ღვინისთვის და მინერალური წყლებისთვის სხვა ბაზრები მოეძებნა. ზოგან ეს პროცესი მეტ-ნაკლები წარმატებით განხორციელდა. უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთის ბაზრის ჩანაცვლება ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან რუსეთის ბაზარი ძალიან დიდია. ქართული ღვინო გავიდა სკანდინავიურ ბაზარზე და ეს ძალიან კარგია. მაგრამ სკანდინავიური ბაზარი ვერასოდეს შეცვლის რუსულ ბაზარს. დღეს, როდესაც თანამედროვე მსოფლიოში გამოიკვეთა სურსათის გაძვირების ტენდენცია, მაშინვე გიჩნდება კითხვა: რა ხდება საქართველოს სოფლის მეურნეობაში? რამდენად არის ეს დარგი მართლა პრიორიტეტული ხელისუფლებისთვის? როცა სააკაშვილი აცხადებს, რომ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული დარგი უნდა იყოს, ამაში მას არცერთი ჭკუათმყოფელი არ შეეწინააღმდეგება. მაგრამ ამას სჭირდება ის, რომ სოფლის მეურნეობას პროფესიონალები მართავდნენ. კარგად გამიგეთ, მე არა ვარ სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, თუმცა იმდენი მაინც ვიცი, რომ მინისტრი ბაყაყების ექსპორტზე და ნიანგებზე არ უნდა ლაპარაკობდეს. ხოლო ბურების ჩამოსახლება, ეს გარკვეულად შეურაცხყოფელიც არის თვითონ ჩვენი ქართველების. ქართველებმა რა დაგვიშავეს. მცირემიწიან ქვეყანაში ჯერ ჩვენი

მოქალაქეების ინტერესები უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. იმიტომ ვაყენებ ასე საკითხს, თორემ შეიძლება ისეთი გამოსავალიც მოიძებნოს, რაც გარემოს დაცვის სამინისტროში გააკეთეს.

– თქვენთვის მისაღებია იმ ტიპის რეორგანიზაცია, რასაც გარემოს დაცვის სამინისტროში ატარებენ? ეს ხომ ფაქტობრივად ამ სამინისტროს გაუქმებაა.

– რა თქმა უნდა, ეს სერიოზული შეცდომაა. იმედია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახლა არავინ დაშლის.

– სხვათა შორის, მიანიშნებენ, რომ ეს ორი სამინისტრო იშლება.

– ეს ლაპარაკები მართლაც ისმის. რაც შეეხება გარემოს დაცვის სამინისტროს დაშლას, განსაკუთრებით 21-ე საუკუნეში ეს არის უდიდესი შეცდომა. თუ არა გაქვს ქვეყანაში ასეთი უწყება, ის უნდა შექმნა. ჩვენ კი პრაქტიკულად ამ ფუნქციებს ვანაწილებთ სხვადასხვა სამინისტროზე. ეს აშკარად ძალიან ცუდი გადაწყვეტილებაა.

– ოპოზიციის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ შეგნებულად უქვემდებარებენ ვერა ქობალიას ბუნებრივ სიმდიდრეს, რათა უპრობლემოდ მოხდეს მათი განკარგვა-გასხვისება ამათუ იმ გავლენიანი პერსონის ინტერესებისამებრ.

– ყველაფერი შესაძლებელია. აქამდე თუ კი უნდოდათ რაიმეს გასხვისება და, მათ შორის, ბუნებრივი რესურსების, გარემოს დაცვის სამინისტრო ამაში ხელს არანაირად არ უშლიდა. გინდა ხაჩიძე იყოს მინისტრი და გინდა მისი ნებისმიერი წინამორბედი, ვინმეს შეუშლია რამეში ხელი? რომელიმე მინისტრისგან მოგისმენიათ პროტესტი გარემოს დაცვასთან დაკავშირებით. მე პირადად, არ მახსოვს. ამიტომ აქ არ არის პიროვნული საკითხი. უბრალოდ, ინსტიტუციური ასეთი რეფორმა, თუკი ამას რეფორმა ჰქვია, გარემოს დაცვის სამინისტროს დაშლა-დაქუცმაცება და ფუნქციების სხვადასხვა უწყებაზე გადანაწილება, ჩემი აზრით, სერიოზული შეცდომაა. გავა დრო და საერთაშორისო გარემოს დაცვითი ორგანიზაციების ზეწოლით, ჩვენ იძულებული ვიქნებით გარემოს დაცვის სამინისტრო აღვადგინოთ. ამიტომ იმედი მაქვს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმის გამო, რომ მისი ხელმძღვანელი დაკისრებულ საქმეს თავს კარგად ვერ ართმევს, არ გააუქმებენ. უფრო ადვილი არ იყო, გარემოს დაცვის სამინისტროში ხელმძღვანელი შეცვლილიყო და

პროფესიონალი დანიშნულიყო, ვიდრე სამინისტრო დაშლილიყო?! ზუსტად იგივეა სოფლის მეურნეობის სამინისტროშიც.

შორენ კოწოწაშვილი